თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია

ხელნაწერის უფლებით

თ ა მ ა რ ნ ე მ ს ა ძ ე

,,პაროდონტიტების მიკროეკოლოგია”

03.00.07. – მიკრობიოლოგია

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, **პროფესორი: კ.აფრიდონიძე**
სამეცნიერო კონსულტანტი: მედიცინის მეცნიერებათა
კანდიდატი, **დოცენტი: ზ.ჩიჩუა**

თბილისი

2005წ.

შესავალი

თემის აქტუალობა: პაროდონტის დაავადებები დღესდღეობით წარმოადგენს ერთერთ მნიშვნელოვან სამედიცინო და სოციალურ პრობლემას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით (1984) პლანეტის მოსახლეობის 80%-ზე მეტი დაავადებულია პაროდონტის პათოლოგიით. იგივე წყაროს მიხედვით (1977) შესწავლილი 35 ქვეყნიდან 7 ქვეყანაში პაროდონტიტი აღმოაჩნდა მოსახლეობის 75%-ს, 13 ქვეყანაში 40-75%-ს, 15-ში კი 40%-ს. [27]

პაროდონტის დაავადების გავრცელება საკმაოდ მაღალია როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში, და გააჩნია მყარი ტენდენცია ზრდისაკენ.

აქტუალურია პაროდონტოლოგიის რიგი მიმართულებების შემუშავება, მათ შორის ძირითადია ეტიოლოგიის საკითხები, რომელიც პრაქტიკოსი ექიმების მიერ აღიქმება როგორც მხოლოდ თეორიული, მაგრამ არსებითად მნიშვნელოვანია, რადგანაც ეტიოლოგიური ფაქტორების მექანიზმების შესწავლა არის ერთადერთი გზა წარმატებული დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პროფილაქტიკისათვის.

პაროდონტიტების ეპიდემიოლოგიისა და ეტიოლოგიის შესწავლისას მნიშვნელობა ენიჭება გარემოს ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებას, იმდენად, რამდენადაც თანამედროვე სამრეწველო წარმოების არაკეთილსასურველმა ზეგავლენამ გარემოზე მიაღწია კრიტიკულ ზღვარს – არსებითად საუბარია ბიოსფეროს გლობალურ მასშტაბურ ცვლილებებზე [17]

ეკოპათოგენური ფაქტორების კომპლექსს მიეკუთვნება გარემოს ქიმიური აგენტები, მეტალები, იონიოზირებადი და მზის გამოსხივება, განსაკუთრებული გეოფიზიკური პირობები და კლიმატური ფაქტორები, რეგიონის გეოქიმიური თავისებურებები. [14]. ეკოპათოგენური რისკი ქართულ პოპულაციაში მნიშვნელოვნად მაღალია. ჩამოთვლილ პირობებს თან ერთვის მძიმე სოციალური პირობები და შედეგად პირის ღრუს ჰიგიენური მდგომარეობის მინიმალური მაჩვენებელი, სტრესული ფაქტორები, საავტომობილო ტრანსპორტის გამო გარემოს დაბინძურების მაღალი დონე მძიმე მეტალებით. რის შედეგედაც იმატებს ტყვიისა და სხვა მძიმე მეტალების დონე ადამიანის ნერწყვსა და სხვა ბიოლოგიურ სითხეებში, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ნერწყვის თვისებებს, აქვეითებს მის

ბაქტერიოციდულობას და ამით ხელს უწყობს პირის ღრუში პათოლოგიური პროცესების განვითარებას, პათოგენური და პირობითპათოგენური მიკრობების გააქტივების ხარჯზე.

თანამედროვე კვლევის მეთოდების დანერგვით, გამოვლინდა 30-მდე ტიპის მიკროორგანიზმის წამყვანი როლი პაროდონტის დაავადების განვითარებაში, მკურნალობასა და პროფილაქტიკაში. გამოკვეთეს რა ,,პაროდონტული მიკრობიოლოგიის'' ახალი ერა მეცნიერებმა [81] წარმოადგინეს პაროდონტის დესტრუქციული დაზიანების ახალი ,,ფორმულა'':

პაროდონტის დაზიანება=ბაქტერიული პათოგენი+მგრძნობიარე ორგანიზმი+ნორმალური მიკროფლორის დეფექტები.

საქართველოში სამწუხაროდ არ არის დაზუსტებული პაროდონტის ეპიდემიოლოგიური მონაცემები და რასაკვირველია, ბევრი პრობლემა ამ სფეროში რჩება გადაუწყვეტელი და საკითხი სპეციფიური ბაქტერიული ფაქტორების ეტიოლოგიური ბუნების შესახებ უფრო დაზუსტდება და განიხილება ახალი კვლევების შედეგების დაგროვების მიხედვით.

კვლევის მიზანი და ამოცანები: ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა პაროდონტიტების მიკრობული ეკოსტრუქტურის დადგენა. მიზნის განსახორციელებლად დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

- პაროდონტიტების მიკრობული ეკოსტრუქტურის ფართო შესწავლა (აერობული და ანაერობული ბაქტერიების პათოგენური სოკოების ხვედრითი წილის დადგენა, თანამედროვე დიაგნოსტიკური ტექნოლოგიების გამოყენებით).

- ეტიოლოგიურად მნიშვნელოვანი ბაქტერიების მორფოლოგიური, კულტურალური და ბიოქიმიური თვისებების შესწავლა.

- ეტიოლოგიურად მნიშვნელოვანი ბაქტერიების მგრძნობელობა-რეზისტენტობის შესწავლა ანტიმიკრობული პრეპარატებისა და ბაქტერიოფაგების მიმართ.

კვლევის სამეცნიერო სიახლე: ბაქტერიოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ჩატარებულია პაროდონტიტების მიკროფლორის ფართო გამოკვლევა. კომპლექსურად შესწავლილია აერობული და ანაერობული ბაქტერიების და საფუარასებრი სოკო კანდიდას როლი ამ დაავადების ეტიოლოგიაში. ჩვენს მიერ, ქართულ-შვეიცარული დიაგნოსტიკურ ცენტრ ,,Cito"-ს ბაზაზე, ფრანგული ბიოტექნოლოგიური ფირმა bioMerieux-ის Api 20A და ATB ANA სისტემების გამოყენებით დადგენილია ანაერობული ბაქტერიების ხვედრითი წილი და სახეობშიგა სტრუქტურა პაროდონტიტების დროს, განსაზღვრულია მათი მგრძნობელობა-რეზისტენტობა ანტიმიკრობული პრეპარატების მიმართ. საქართველოს სინამდვილეში პაროდონტიტების მიკრობული ეკოსტრუქტურის შესწავლა ასეთი დონის მიკრობიოლოგიურ კვლევის მეთოდებით ჯერ არ ჩატარებულა.

პაროდონტიტების დროს გამოყოფის სიხშირის მიხედვით მიკროორგანიზმები დალაგდნენ შემდეგნაირად: S.epidermidis 39,34±1,56%-ში; S.pyogenes 18,84±1,25%-ში; M.catarrhalis 17,09±1,2%-ში; S.aureus 10,71±0,99%-ში; E.coli-5,66±0,74%-ში; დიფტეროიდები 1,13±0,33%-ში; S. Mucilaginosus-1,02±0,32%-ში; proteus vulgaris- 0,72±0,27%-ში; H.parainfluenzae-0,72±0,27%-ში; S.intermedium-0,61±0,24%-ში; P.aeruginosa-0,61±0,24%-ში; H.influenzae-0,51±0,22%-ში; S. saprophiticus-0,51±0,22%-ში; S. viridans-0,51±0,22%-ში; S.pneumoniae -0,41±0,2%-ში; K.pneumoniae-0,41±0,2%-ში; S.haemoliticus-0,41±0,2%-ში; B. adolescentis-0,3±0,17%-ში; L. acidophilus-0,3±0,17%-ში; S. salivarius-0,1±0,1%-ში.

პაროდონტიტების დროს ეტიოლოგიურად მნიშვნელოვანი ბაქტერიები ძირითადად ერთმანეთთან ასოციაციებში ითესებოდნენ (60,3%-ში). ინფექციურ აგენტებს შორის დომინირებდნენ გრამდადებითი ბაქტერიები, რომლებიც 1,5-2-ჯერ აღემატებოდნენ გრამუარყოფით ბაქტერიებს.

პაროდონტიტების დროს იზოლირებული აერობული ბაქტერიების კულტურები მაღალ (66,67-100%) მგრძნობელობას იჩენდნენ: ცეფალოსპორინების I, II, III თაობის (კეფზოლი; ცეფაზოლინი; ცეფამეზინი, ზინაცეპი, კლაფორანი, ცეპდაზიდიმი), ტეტრაციკლინების (ტეტრაციკლინი, დოქსიციკლინი), ლინკოზამიდების (ლინკომიცინი, კლინდამიცინი), ქინოლონების (5-ნოკი, ციპროფლოქსაცინი) და რიფამიცინების (რიფამპიცინი) ჯგუფების ანტიბიოტიკების

მიმართ. აერობული ბაქტერიების კულტურები ძირითადად რეზისტენტულები იყვნენ: პენიცილინის (პენიცილინ G, პროკაინ-პენიცილინი), ამინოგლიკოზიდების (სტრეპტომიცინი, კანამიცინი, გენტამიცინი) და მაკროლიდების (ერიტრომიცინი, მაკროპენი ჯგუფების ანტიბიოტიკების მიმართ.

პაროდონტიტების დროს გამოყოფილი ანაერობული ბაქტერიები მაღალ (80-100%) მგრძნობელობას იჩენდნენ: პენიცილინის (პენიცილინ G, ტიკარცილინი 64, ამოქსიცილინ16, პიპერაცილინი), ლინკოზამიდების (კლინდამიცინი), ცეფალოსპორინების II თაობის (ცეფოქსიტინი, ცეფოტატენი), კარბაპენემის (იმიპენემი) ჯგუფების და ß ლაქტამაზას ინჰიბიტორების (აუგმენტინი, ტიმენტინი, ტაზოცინი) ანტიბიოტიკების მიმართ. ანაერობული ბაქტერიები ძირითადად რეზისტენტულები იყვნენ ნიტროიმიდაზოლების (მეტრონიდაზოლი) მიმართ.

პაროდონტიტების დროს გამოყოფილი S. epidermidis შტამები სტაფილოფაგის მიმართ მგძრნობიარე იყო 42,93%-ში, ხოლო S. aureus შტამები-30,76%-ში. S. epidermidis შტამები პიოფაგის მიმართ მგძრნობიარე იყო 41,62%-ში, ხოლო S. aureus შტამები-25,96%-ში. S. pyogenes შტამები სტრეპტოფაგის მიმართ მგძრნობიარე იყო 40,43%-ში. E.coli შტამები კოლიფაგის მიმართ მგძრნობიარე იყო 32,72%-ში.

პაროდონტიტების დროს საფუარასებური სოკო Candida albicans იზოლირდა ავადმყოფების 34,32%-ში. Candida albicans შტამები მაღალ მგრძნობელობას იჩენდენ დიფლუკანის, ლამიზილის, მიკოსისტის, ნიზორალის, ნისტატინის, ლევორინის, ატრიკან 250-ის მიმართ.

ზემოთ მოყვანილი მონაცემები იძლევა პაროდონტიტების მიკროეკოლოგიის ფართო სპექტრს ჩვენ რეგიონში, რაც მნიშვნელოვანია ამ დაავადების ეტიოლოგიის შესწავლისათვის და რაციონალური, კომპლექსური (ანტიბაქტერიული, ანტიკანდიდოზური,) მკურნალობისათვის.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის შედეგები მიძღვნილია პაროდონტიტების ეტიოლოგიის სპექტრზე და ქმნის ეტიოტროპული მკურნალობის რაციონალური წარმართვის რეალურ შესაძლებლობას.

ნაშრომის აპრობაცია: სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები განხილული იქნა: 1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის კათედრის სხდომაზე (ოქმი №2. 30.05.05);

პუბლიკაციები: სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო ნაშრომის სახით.

სამუშაოს მოცულობა და სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა შეადგენს 112 გვერდს. იგი მოიცავს შესავალს და 4 თავს: ლიტერატურის მომოხილვა, კვლევის მასალა და მეთოდები, საკუთარი კვლევის შედეგები, მიღებული შედეგების განხილვა, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები და გამოყენებული ლიტერატურის სია (124 წყარო). ნაშრომი ილუსტრირებულია 40 ცხრილით და 6 დიაგრამით.

თავი I - ლიტერატურული მიმოხილვა

პაროდონტიტების მიკროეკოლოგია

ღრძილების ანთება ცნობილია უძველესი დროიდან, პალეონტოლოგიურმა გამოკვლევებმა გამოავლინეს პაროდონტის ქსოვილების დესტრუქციული დაზიანების ნიშნები უძველეს ადამიანებში. პაროდონტის დაავადების პირველი სისტემატიზირებული აღწერა გვხვდება ძველეგვიპტურ პაპირუსებში [33].

სადღეისოდ პაროდონტის დაავადებები შეიძლება არასაკმარისად შესწავლილად ჩაითვალოს. არსებობს ამ დაავადებათა ორასზე მეტი სახელწოდება, დაავადების წარმოქმნის ორას ორმოცდაათზე მეტი თეორია. [3].

პაროდონტის დაავადება მისი მასიურობის, პაროდონტის მძიმე დაზიანების, მკურნალობაში გადაულახავი სიძნელეების გამო დღესდღეობით გვევლინება როგორც ,,ცივილიზაციის შავი ჭირი", რისი შედეგიცაა კბილების დაკარგვა, კეროვანი ქრონიკული ინფექციების გაჩენა, ორგანიზმის რეაქტიულობის დაქვეითება, მიკრობული სენსიბილიზაცია, ალერგიული მდგომარეობის და სხვა დარღვევების განვითარება. [44].

გამოკვლევების მიხედვით მოსახლეობის მხოლოდ 12%-ს აქვს ჯანმრთელი პაროდონტი, 53%-ს აღენიშნება საწყისი ანთებადი ცვლილებები, 23%-ს საწყისი

დესტრუქციული ცვლილებები და 12%-ს აღენიშნება საშუალო და მძიმე ხარისხის დაზიანება. [12].

პაროდონტის ცვლილებების გამოვლენის სიხშირე და ხარისხი უკუპროპორციულია მოსახლეობის ცხოვრების დონისა და პირის ღრუს ჰიგიენისა. დიდი გავლენა აქვს კვების რეჟიმს და სოციალურ მდგომარეობას. ავტორი [47] აღნიშნავს, რომ რასობრივი და ეთნიკური წარმოშობა გავლენას არ ახდენს პაროდონტის ქსოვილის დაავადების სიმძიმესა და სიხშირეზე; [47].

პაროდონტიტების გავრცელება დამოკიდებულია საკვლევი პაციენტების ასაკზე. [33]. პაროდონტიტი გამოვლინდება უფრო ხშირად 30-40 წლის პირებში, თუმცა უკანასკნელ წლებში ამ პათოლოგიით დაავადებული პაციენტების ასაკი მკვეთრად შემცირდა [47]. რიგ ავტორთა მიხედვით, კი [20; 21; 27; 41]. პაროდონტის დაავადების მაღალი წილი მოდის 40-45 წლის ასაკზე.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შემაჯამებელი მოხსენების [1978] მიხედვით ევროპულ პოპულაციაში ქრონიკული გინგივიტი აღმოჩენილია 10-12 წლის ბავშვების თითქმის 80%-ში და 14 წლის ბავშვების თითქმის 100%. გინგივიტის გავრცელება ეთნიკურ ესპანელებს შორის 5_17 წლამდე შეადგენს 77%, ეს მაჩვენებელი ასევე მაღალია აზიური რეგიონების ასაკობრივ ჯგუფში, ეთნიკურ ინდიელებსა და აფრიკელებში [47].

რიგი გამოკვლევებისა გვიჩვენებს, რომ პაროდონტიტის გავრცელება უფრო მაღალია მამაკაცებში. ითვლება, რომ მამაკაცებისათვის პაროდონტიტის დესტრუქციული ფაზა იწყება დაახლოებით 35 წლისათვის, მაშინ, როცა ქალებისათვის დესტრუქციული პროცესი იწყება უფრო გვიან, 45 წლისათვის [33]. ამავე ავტორების მიხედვით, პაროდონტის დაზიანების სიხშირე და განსაკუთრებით სიმძიმე მაღალია აზიურ რეგიონებში, და ასევე იმ აზიელებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ აშშ-სა და ევროპაში. გაცილებით მაღალია პაროდონტიტების გავრცელება არაბებსა და სხვა ხმელთაშუა ზღვის ხალხებს შორის. შავკანიან პოპულაციაში ეს მაჩვენებელი ასევე არსებითად მაღალია, ვიდრე ევროპეიდებში, თანაც არა მხოლოდ აფრიკულ ქვეყნებში არამედ აშშ-ში მცხოვრებ შავკანიანებში. მოზრდილ ამერიკელ შავკანიანებში პაროდონტის დაზიანების სიმძიმე 50%-ით უფრო მაღალია, ვიდრე ევროპეიდებში [95].

პაროდონტის დაავადების კლინიკის გათვალისწინებით ამ პათოლოგიით დაავადებულთა რიცხვს მიეკუთვნებიან ის პირებიც, რომელთაც აღენიშნებათ ღრძილებიდან სისხლდენა და კბილის ქვები. იმდენად, რამდენადაც კბილის ქვები მოზრდილ ასაკობრივ ჯგუფებში საკმაოდ ხშირია და ამ პათოლოგიით დაავადებულ ჯგუფებში ხვდებიან ის პირები რომელთაც აქვთ ღრძილზედა და ღრძილქვედა კბილის ნადები. ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხანშიშესულთა შორის შეინიშნება პაროდონტის დაავადების თითქმის ასპროცენტიანი გავრცელება [4]. იგივე აზრს გამოთქვამენ სხვა მკვლევარებიც, [9; 10; 22]. მათ მიერ გამოკვლეულ ხანშიშესულ პაციენტებში, პაროდონტის დაავადების გავრცელება 100%-ში აღინიშნება. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ხანშიშესულ პაციენტებში განვითარებული პაროდონტის დაზიანება შეიძლება განპირობებული იყოს ჯანმრთელობის შერყევით ან თვით დაბერების პროცესებით. [10; 15]. ბიოლოგიური დაბერების პროცესი იწვევს სტრუქტურულ და ფუნქციურ ცვლილებებს და ამცირებს ორგანიზმის სისტემების სარეზერვო შესაძლებლობებს. ამას კი თავის მხრივ ახლავს ასაკობრივი შეგუება ორგანიზმისა დაავადებებთან. [38]. ამ დროს, საკმაოდ ხშირი და ქრონიკული პრობლემაა პაროდონტიტი. [10; 27]. პაროდონტის ინვოლუციის ნიშნები აღინიშნება 30-35 წლის ასაკში. 40-49 წლისათვის ცვლილებები აშკარადაა გამოხატული. [26]. აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ 40-45 წლის პაციენტთა და ხანდაზმულთა შორის აღინიშნება პაროდონტიტების მძიმე მიმდინარეობა [21; 26; 27; 4]. თუმცა რიგ ავტორთა აზრით [10; 15]. დაავადების პროგრესირებადი მიმდინარეობა აღნიშნულ ასაკობრივ კატეგორიაში აღინიშნება მიახლოებით 15-20-%-ში

პაროდონტის დაზიანების პირველად ფაქტორად დღესდღეობით განიხილება კბილის ნადების ბაქტერიული ფლორა. საუკუნეზე მეტია გრძელდება გამოკვლევები ბაქტერიული კოლონიზაციის როლის შესახებ პაროდონტის დაავადებების განვითარებაში, და ამ პერიოდის განმავლობაში მეცნიერთა მონაცემები ამ საკითხის მიმართ არაერთხელ შეიცვალა. [33].

ბიოქიმიური და მორფოლოგიური გამოკვლევებით დადგინდა, რომ კბილის ნადები - ეს არის პირის ღრუში და კბილების ზედაპირზე მობინადრე მოკროორგანიზმების კოლონიის დაგროვება. სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენებით ჩატარებულ კვლევებით დადგინდა, რომ კბილის ნადების

სუბსტრატი შედგება ისეთი მიკროორგანიზმებისაგან, რომელთა შემადგენლობაშიც შედის ორგანული წარმოშობის უსტრუქტურო ნივთიერება. [11].

კბილის ნადებში ლოკალიზდება პირის ღრუს მიკროორგანიზმების ძირითადი მასა, კბილის ნადების მოცულობის 70%-ს შეადგენენ მიკრობები. ნადების მშრალი მასის 1 მგ შეიცავს მიახლოებით 250 მიკრობს. [9].

კბილების გახეხვიდან 2 საათის შემდეგ დაგროვებას იწყებს კბილის ნადები, ამ უკანასკნელის წარმოქმნის დინამიკის შესწავლით დადგინდა, რომ დღე-ღამის განმავლობაში კბილის ზედაპირზე ჭარბობს კოკური ფლორა, 24 საათის შემდეგ ჩხირისებური ბაქტერიები. 2 დღე-ღამის შემდეგ კი კბილის ზედაპირზე უკვე არსებობს მრავალრიცხოვანი ჩხირები და ძაფისებრი ბაქტერიები [82; 64]. კბილის ნადების განვითარების შესაბამისად იცვლება მისი მიკრობული ფლორაც. პირველად წარმოქმნილი ნადები შეიცავს აერობულ, ხოლო შედარებით გვიანი ნადები კი აერობულ და ანაერობულ მიკროორგანიზმებს. [11].

ექსპერიმენტული მოდელის ,,ხელოვნური პირის'' დახმარებით დადგინდა, რომ კბილის ნადების წარმოქმნის მექანიზმში მნიშვნელოვნად ჭარბობს შაქარი. ამ პირობებში შესწავლილია სხვადასხვა შტამის მიკროორგანიზმების აქტივობა. მნიშვნელოვან როლს თამაშობს S. mutans, რადგანაც ზუსტად ეს მიკროორგანიზმები იწვევენ ნადების ფორმირებას ნებისმიერ ზედაპირზე. მაგრამ სტრეპტოკოკების აბსორბციას ხელს უწყობენ სხვა მიკროორგანიზმებიც C. albicans, S. salivarius და ა. შ. [11].

კბილის ნადების წარმოქმნის მექანიზმის შესწავლაში ახალი მნიშვნელოვანი მიმართულება არის ნაშრომები იმუნოლოგიაში [49; 123]. ნერწყვში აღმოჩენილია A, G, M კლასის იმუნოგლობულინები, ამილაზა, ლიზოციმი და სხვა ცილოვანი სუბსტრატები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კბილის ნადების წარმოქმნაში. ფლუორესცენტული ანტისხეულების მეთოდის მეშვეობით აღმოჩენილია, რომ პელიკულა შეიცავს იმუნოგლობულინების ყველა სახეობას (A, G, M), იმდროს როცა კბილის ნადებში ყველაზე ხშირად ვლინდება IgA და IgG. დადგენილია, რომ აღნიშნული იმუნოგლობულინები ფარავენ კბილს და ბაქტერიებს და შეუძლიათ მიეკრონ პელიკულას მხოლოდ დადებითი რეაქციის შემთხვევაში. პირველ რიგში კბილის ზედაპირს ეკრობა S.salivarius, შემდეგ კი S. mutans. გაირკვა, რომ კბილის ნადების ბაქტერიებს ფარავს IgA, რომელიც ნერწყვიდან ან ღრძილის ღარიდან

ხვდება. თუმცა კბილის ნადების წარმოქმნის მექანიზმში ცილოვანი კომპონენტების წილი არის მცირე – მიახლოებით 1% IgA, უფრო ნაკლები კი IgG. [11].

ორდღიანი კბილის ნადები თითქმის მთლიანადაა ჩამოყალიბებული მიკროორგანიზმებით. კბილის ნადებში ბაქტერიების კონცენტრაცია საკმაოდ მაღალია. 1მგ კბილის ნადებში არის 500 .10(6) მიკრობული უჯრედები. სხვადასხვა მასალაში მიკროორგანიზმების რაოდენობა განსხვავებულია [56].

მიკრობულ კოლონიზაციაში 70%-ზე მეტი სტრეპტოკოკებია, 15%-ი ვეილონელები და ნეისერიები, ხოლო დანარჩენი ფლორა – დიფტეროიდები, აქტინომიცეტები და საფუარა სოკოები. ერთერთ ავტორს [64] მოჰყავს ასეთი შეფარდება კბილის ნადების ბაქტერიებს შორის: ფაკულტატური სტრეპტოკოკები–27%, ფაკულტატური დიფტეროიდები–23%, ანაერობული დიფტეროიდები–18%, პეპტოსტრეპტოკოკები–13%, ვეილონელები–6%, ბაქტეროიდები–4%, ფუზობაქტერიები–4%, ნეისერიები– 3%, ვიბრიონები–2%. კბილის ნადებში ასევე აღმოჩენილია ნოკარდიები და სოკოების ექვსი სახეობა. ყველაზე ხშირად გვხვდება Candida albicans. კბილის ნადების მიკრობული ფლორა არ არის მუდმივი როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. უპირატესად მიკროკოკებისაგან შედგება 1-2 დღიანი ნადები, იმდროს როცა 3-4 დღიანი ნიმუშში ჩნდება და მე-5 დღიდან მრავლდება ძაფისებრი ფორმის მიკროორგანიზმები [63].

კბილის ნადებსა და ნერწყვში მიკროორგანიზმების რაოდენობა განსხვავებულია. ასე მაგალითად, კბილის ნადებში მცირე რაოდენობითაა S. salivarius (მიახლოებით 1%), იმ დროს როცა ნერწყვში ეს მიკროორგანიზმები დიდი რაოდენობითაა; კბილის ნადებში 100-ჯერ მეტია ლაქტობაცილები ვიდრე ნერწყვში [68].

კბილის ნადების მიკროორგანიზმები ძირითადად ანაერობებია. ისინი მჟავაწარმომქმნელი და პროტეოლიზური ბაქტერიებია, ამ ბაქტერიების უმრავლესობას წარმოქმნიან იოდოფილური პოლისაქარიდები (გლიკოგენი) [114].

კბილის ნადების ფლორაზე დიდ გავლენას ახდენს ფტორი (სასმელი წყლის შემადგენლობაში), რომლის მიმართაც განსაკუთრებით მგრძნობიარეა სტრეპტოკოკები და ბაქტერიები, რომლებიც წარმოქმნიან იოდოფილურ პოლისაქარიდებს. ბაქტერიების ზრდის დასათრგუნად საჭიროა მიახლოებით 30-40 მგ/ლ ფტორი [86].

კბილის ნადების ქიმიური შემადგენლობა ვარიაბელურია პირის ღრუს სხვადასხვა მიდამოში და სხვადასხვა ადამიანში ასაკთან, და საკვებში შაქრის გამოყენების მიხედვით [11]. კბილის ნადების მშრალი მასის 1 მგ-ზრ მოდის 3,37 მკგ კალციუმი, 8,37 მკგ ფოსფორი, 4,20 მკგ კალიუმი, 1,30 მკგ ნატრიუმი [86]. კბილის ნადების კალციუმი და ფოსფორი ძირითადად იქმნება ნერწყვისაგან, თუმცა არ არის გამორიცხული სხვა წყაროებიც [11]. კბილის ნადებში მიკროელემენტების შემადგენლობა ასევე ვარიაბელურია და ბოლომდე შესწავლილი არ არის. ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, მიკროელემენტი რომელიც აქტიურ გავლენას ახდენს ნადების ბიოქიმიაზე არის ფტორი. [11]. მისი შემადგენლობა კბილის ნადებში არის ათჯერ და ასჯერ მეტი ვიდრე ნარწყვში. ფტორის საშუალო კონცენტრაცია კბილის ნადებში შეადგენს 6 მგ/კგ, მაგრამ შეიძლება ასევე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყოს ამ მიკროელემენტის დონეზე სასმელ წყალში [83; 84]. კბილის ნადების ორგანული კომპონენტებისაგან განსაზღვრულია ცილა (რომლის ბუნებაც ბოლომდე გარკვეული არ არის), ნახშირწყლები და ფერმენტები [97].

ზოგადად, კბილზე განლაგებულ აგლომერატში განასხვავებენ რამოდენიმე ძირითად კომპონენტს: კბილის ნადები, materia alba, მეორადი აპკი და კბილის ბალთები [71]. იგივე ავტორები განასხვავებენ მკვრივ ბალთას, რომელიც შეიცავს კბილთან მჭიდროდ მიმაგრებულ მრავალ ბაქტერიას, და ამორფულ წარმონაქმნებს, რომლებიც შედარებით თავისუფლად განლაგდება კბილსა და ღრძილის ქსოვილებს შორის. ბალთის უკანასკნელი ტიპი ჩვეულებრივ ძირითადად შეიცავს ანაერობულ ბაქტერიებს. კლინიკურად მნიშვნელოვანია კბილის ბალთის დაყოფა სუპრა- და სუბგინგივალურ ბალთებად. [33]. ძირითადი განსხვავებები ბალთის ამ ორ ძირითად ტიპს შორის მოცემულია ცხრილში: №-1

სურპაგინგივალური და სუბგინგივალური კბილის ბალთების

შედარებითი ანალიზი

ცხრილი №1

პარამეტრი	*სურპაგინგივალური ბალთა*	*სუბგინგივალური ბალთა*
მატრიქსი	შეადგენს ბალთის მიახლოებით 50%-ს, ზედაპირთან მიერთების სიმტკიცე ვარიაბელურია	მატრიქსის უმნიშვნელო რაოდენობა,ბალთები ნაკლებად არიან შეკავშირებული ზედაპირთან
ფლორა	ჭარბობს გრამ-პოზიიტური ფლორა,	ჭარბობს გრამ-ნეგატიური ჩხირები

	კოკები და მოკლე ჩხირები	და სპიროხეტები
მოძრავი ბაქტერიები	უმნიშვნელო რაოდენობა	ხშირად მნიშვნელოვანი რაოდენობით
აერობული და ანაერობული ბაქტერიების დამოკიდებულება	ძირითადად აერობები	ანაერობების მნიშვნელოვანი რაოდენობა
მეტაბოლიზმი	ძირითადად კარბოჰიდრატები	ძირითადად პროტეინები
სხვადასხვა მიკოორგანიზმები	ფორმირების ადრეულ ეტაპზე უმნიშვნელო, იზრდება დროთაგანმავლობაში	მნიშვნელოვანი

სუპრაგინგივალური ბალთა მდგრადია და კბილების გაწმენდის შემდეგ სწრაფად აღდგება. ნაჩვენებია, რომ აღდგენადი ბალთის მიკროფლორა ყალიბდება თანდათანობით, პირველ ეტაპზე ბალთაში ჩნდება ძირითადად გრამ-დადებითი კოკები და ჩხირები. შემდეგ მათ უერთდება გრამ-უარყოფითი ბაქტერიები. რომელთა გამრავლება სავარაუდოდ ხდება მეორადი აპკის შრეში. [33]. ბალთის ჩამოყალიბებასთან ერთად, მის შემადგენლობაში ჩნდება აგრეთვე ფილამენტოზური ბაქტერიები და სპიროხეტები [123]. ბალთაში ხვდება ნერწყვის და საკვების კომპონენტები, და მისი ზომები პროგრესულად დიდდება. მიაღწევს რა განსაზღვრულ ზომას ბალთის სიღრმეში შეიძლება დაგროვდეს ანაერობული ორგანიზმები. [33]. ითვლება, რომ სუპრაგინგივალური ბალთები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გინგივიტისა და პაროდონტიტის საწყის სტადიებზე. უფრო მძიმე ფორმები კი დაკავშირებულია სუბგინგივალური ბალთებთან.

ელექტრონული მიკროსკოპიის გამოყენებით ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სუბგინგივალურ ბალთას აქვს საკმაოდ რთული, კომპოზიტური შენება [91; 109]. ბალთის ნაწილი, რომელიც მიმაგრებულია კბილზე, საკმაოდ მჭიდრო კავშირშია მასთან. ამ ნაწილში გარმ-პოზიტიური კოკები და ჩხირები მჭიდროდ არის გახვეული კბილის ზედაპირის მფარავ მასალაში. ბალთის ამ ნაწილის აპიკალურ ბოლოსთან იზრდება გრამ-ნეგატიური და ფილამენტოზური ფორმების რაოდენობა. მასზე ყალიბდება ბალთის ამორფული ნაწილი, რომელიც ვრცელდება ღრძილის ჯიბის სიღრმეში, სადაც აღინიშნება ანაერობების მნიშვნელოვანი რაოდენობა [33].

დადგენილია, რომ უკვე ქრონიკული გინგივიტის კლინიკური სურათის დროს პაროდონტში აღინიშნება აქტიური ანთებადი პროცესის გავრცელების

მორფოლოგიური ნიშნები, ღრძილის საზღვრებს მიღმა ალვეოლური მორჩის ძვლოვანი ქსოვილის სიღრმეში, რასაც თან ახლავს დესტრუქციული ცვლილებების მთელი კომპლექსი: ძვლოვანი ნივთიერების რეზორბცია, და პერიოდონტის კოლაგენური ბოჭკოების ლიზისი. მიუხედევად პაროდონტოლოგიაში მიღებული შეხედულებებისა, გინგივიტისა და პაროდონტიტის კლინიკური ,,სხვადასხვაგვარობის" შესახებ, სინამდვილეში საქმე ეხება პაროდონტის ერთიან ანთებად დაავადებას, იმდენად, რამდენადაც დღესდღეობით მიღებული თითოეული ,,ნოზოლოგიური" ერთეული (ქრონიკული გინგივიტი, პაროდონტიტი), წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ერთი და იგივე ქრონიკული პროცესის თანმიმდევრულ სტადიებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება რიცხობრივი და არა ხარისხობრივი პარამეტრით. [19].

გინგივიტი არის კბილის ნადების ბაქტერიული უჯრედების ლიზისის პროდუქტებით ღრძილის გაღიზიანების შედეგი. [124]. დადგენილია ურთიერთკავშირი კბილების არადამაკმაყოფილებელ გაწმენდასა და გინგივიტის ასევე პაროდონტის ანთებადი დაავადების აღმოცენებას შორის. გინგივიტის აღმოცენებას ხელს უწყობს პირის ღრუს ჰიგიენის უგულვებელყოფა. გინგივიტის დროს ერთი ყბის ერთ მხარეზე მდებარე კბილების ნადების რაოდენობა აღწევს 8,3 მგ (ნორმა 1,6 მგ). კბილის ნადების მინერალიზაციის და მასში არაორგანული ნივთიერებების ჩალაგების შედეგად ყალიბდება კბილის ქვა. მინერალური მარილები გადაინაცვლებენ კბილის ნადების კოლოიდურ ფუძეზე, რაც ცვლის ურთიერთდამოკიდებულებას მუკოპროტეიდებს, მიკროორგანიზმებს, ნერწყვის სხეულაკებს, და საკვების ნარჩენებს შორის, რასაც საბოლოოდ მივყავართ მის ნაწილობრივ ან სრულ მინერალიზაციამდე. კბილის ქვა ძირითადად იქმნება კბილის ნადების იმპრეგნაციით კალციუმის ფოსფატის კრისტალებით. რბილი მატრიცის გასამაგრებლად საჭიროა მიახლოებით 12 დღე. მინერალიზაციის დასაწყისი ხილული ხდება უკვე ნადების წარმოქმნიდან 1-3 დღის შემდეგ [98; 99].

50-60-იან წლებში შემუშავებული იქნა ერთ-ერთი თეორია, ბაქტერიული ინვაზიის არასპეციფიური კონცეფცია, რომლის თანახმადაც პაროდონტის ანთებადი დაზიანება ვითარდება ნადების შემადგენლობაში პროლიფერირებადი ბაქტერიების მასის კრიტიკული დონის გადაჭარბებისას. შესაბამისად, კბილის ნადები იწვევს პაროდონტის დაზიანებას მიუხედავად მისი ბაქტერიული შემადგენლობისა. ამ

კონცეფციას დღესაც ჰყავს მომხრეები. მათი რიცხვი მცირეა, თუმცა გინგივიტების შემთხვევაში მას აქვს არსებობის უფლება. [123].

70-იან წლებში წამოაყენეს კიდევ ერთი სპეციფიური თეორია პაროდონტის დაავადებების ეტიოპათოგენეზის შესახებ. იგი პირველად განიხილა მეცნიერმა [92] როგორც ,,სპეციფიური ნადების'' ჰიპოთეზა პაროდონტის დაავადების სხვადასხვა ფორმების დროს შესწავლილი მიკროორგანიზმების შედეგებზე დაყრდნობით, ეს თეორია პაროდონტის დაზიანებას განიხილავს, როგორც დაავადების ჯგუფს, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა მიზეზები და მიმდინარეობა, მაგრამ, ერთი და იგივე კლინიკური სიმპტომატიკა. ეს კონცეფცია შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად პაროდონტის დაზიანების ისეთ ფორმებთან მიმართებაში, როგორიცაა იუვენილური პაროდონტიტი, რომლის დროსაც ეტიოპათოგენეზურ დეტერმინანტს წარმოადგენს Actinobacillus actinomicetemcomitans. წულულოვან-ნეკროზული პაროდონტიტის დროს ასევე საიმედოდაა დამტკიცებული Fusobacterium nucleatum სპიროხეტებთან კომბინაციაში [123]. თუმცა პაროდონტის უფრო გავრცელებული დაავადებები მოზრდილებში ვერ ჯდება მოცემული კონცეფციის ჩარჩოებში. [33].

მიუხედავად იმისა, რომ პაროდონტის დაავადებების ბაქტერიული ბუნება არ იწვევს ეჭვს, კბილის ნადების მიკროფლორის ანალიზი, საშუალებას არ გვაძლევს გამოვყოთ ერთეული ბაქტერიული პათოგენი პაროდონტის დაზიანების სხვადასხვა ფორმისათვის [33]. ჩატარებულ კვლევებში მუდმივად ფიგურირებს ბაქტერიული მიკროფლორის სხვადასხვა წარმომადგენელი, რომელიც დაკავშირებულია პაროდონტის დაზიანების განვითარებასა და პროგრესირებასთან. ამასთან დაკავშირებით ავტორმა [118] წამოაყენა პაროდონტის დაზიანების ბაქტერიული თეორიის უნიფიცირებული კონცეფცია. რომელიც შემდგომ კვლევებში განავრცეს სხვა ავტორებმაც. [119; 118; 91], ამ თეორიამ მოიპოვა მეტი პოპულარობა [33].

ამ კონცეფციის მიხედვით, პაროდონტის ქრონიკული დაზიანებების განვითარება და პროგრესირება შეიძლება დაკავშირებულ იქნას 6-10 ტიპის მიკროორგანიზმის პათოგენურ ზემოქმედებასთან, რომლებიც თავიანთ დესტრუქციულ ეფექტს ავლენენ ნებისმიერ შესაძლო კომბინაციაში [33]. მათ შემადგენლობაში შედის შემდეგი ბაქტერიული პათოგენები: Porphyromonas gingivalis, Prevotella intermedia, Campylobacter rectus, Bacteroides forsythus, Actinobacillus actinomycetemcomitans, Eikenella corrodens, Fusobacterium nucleatum, Spirochetes. ეს

მიკროორგანიზმები, და ასევე ზოგიერთი სხვა პათოგენი არსებობს დაზიანების ზონაში და უზრუნველყოფენ საჭირო ვირულენტური ფაქტორების პროდუქციას. ისინი ავსებენ ღრძილის ჯიბეების ეკოლოგიურ ნიშებს და მრავლდებიან ამ ჯიბეების სტაბილურ ეკოსისტემაში იღებენ რა საჭირო საკვებ შენაერთებს ნერწყვიდან, შეიძლება გადალახონ ორგანიზმის დაცვითი ძალები და გამოიწვიონ პაროდონტის დაზიანების განვითარება/პროგრესირება [33].

რიგი ავტორების [81] მიერ ჩატარებულმა თანამედროვე მოლეკულურ-ბიოლოგიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ პათოგენური ფლორის მრავალფეროვნებას განაპირობებს პათოგენური მიკროორგანიზმების გენოტიპების ვარიაციები.

კბილის ბალთის ბაქტერიული ეკოსისტემა რთულია, იგი შეიცავს მიკროორგანიზმების ათეულობით და ასეულობით სახეობას, რომელთა თანაარსებობაც ითვალისწინებს ბაქტერიათაშორისი ურთიერთგავლენის უამრავ ვარიანტს. პრინციპში ბაქტერიათაშორის ურთიერთგავლენის ყველა ტიპი შეიძლება დაიყოს პათოგენური ბაქტერიებით კბილის ბალთის კოლონიზაციის ან ქსოვილებზე მათი დესტრუქციული ზეგავლენის ხელისშემწყობ ან შემფერხებელ ტიპებად. [33]. პირველ ტიპს მიეკუთვნება ბაქტერიული კოლონიზაციის მნიშვნელოვანი პროცესის ბალთის სტრუქტურაში მიკროორგანიზმების ადგეზიის მოდიფიკაცია. ადგეზია მოითხოვს ზედაპირების აქცეპტორული ჯგუფის არსებობას, რომლებიც უკავშირდება შესაბამის დეტერმინანტებს ბაქტერიების მემბრანებზე. ნაჩვენებია, რომ შესაბამისი აქცეპტორული ჯგუფები ერთი სახეობის ბაქტერიისათვის შეიძლება იყოს შექმნილი, გაშიშვლებული და ეკრანირებული ენზიმებით, რომლებსაც გამოყოფს სხვა სახეობის ბაქტერიები. [33]. მაგალითად, Streptococcus mitis da Streptococcus sanguis უერთდება ეპითელიალურ უჯრედებს ისე, როგორც პაროდონტის დაავადების ორი მნიშვნელოვანი პათოგენი Porphyromonas gingivalis da Prevotella intermedia. ამ დროს სტრეპტოკოკების შეკავშირებისათვის დეტერმინანტები რთავენ სიალინის მჟავას, მაშინ როცა პათოგენებისათვის სიალინის მჟავა ხელს უწყობს შეკავშირებას. შესაბამისად, უერთდება რა ეპითელს, სტრეპტოკოკები ,,ეკრანირებენ" სიალინის მჟავას მოლეკულებს ეპითელიოციტების მემბრანებზე და ამით ხელს უწყობენ პათოგენური ფორმების ადგეზიას. [79].

იაპონელი მკვლევარების მიერ [101] გაიშიფრა მეორე ძირითადი ტიპი ბაქტერიათაშორისი უერთიერთქმედებისა, რომელიც ხელს უწყობს ბაქტერიულ აგრესიას, ეს არის წარმოქმნა/განაწილების უბანში საკვები შენაერთებისა და სხვა ზრდის ფაქტორების ინტეგრაცია. ერთერთი ასეთი ურთიერთქმედების ტიპი ერთერთი ფართოდგავრცელებული პაროდონტული პათოგენის Campylobacter rectus (ძველი დასახელება Weilonella recta) მაგალითზე. C. rectus გამრავლება მკაცრადაა დამოკიდებული რესპირატორულ მეტაბოლიზმზე, სადაც ელექტრონების დონორებად გვევლინებიან მხოლოდ ფორმატი ან წყალბადი, ხოლო ფუმარატი, ნიტრატები და ჟანგბადი არიან ელექტრონების აქცეპტორები. ამიტომაც, C. rectus ხდება დამოკიდებული ბალთის ეკოსისტემის სხვა ბაქტერიებზე, რომლებიც აპროდუცირებენ ფორმატს და წყალბადს, ისევე, როგორც სტრეპტოკოკები და Actinomyces. მეორს მხრივ C. rectus იყენებს სხვა ბაქტერიების მიერ წარმოქმნილ ამინომჟავებს (კერძოდ ასპარაგინის მჟავას), რომლებსაც წარმოქმნიან პროტეოლიზური ანაერობები.

პაროდონტული პათოგენებისათვის ზრდის ფაქტორის წარმოქმნის სხვა მაგალითებად გვევლინება ფაკულტატური ფლორის მიერ ისეთი ნივთიერებების სინთეზი, როგორიცაა ვიტამინი K, ლაქტატი და მენადიონი, რომელიც აუცილებელია P. gingivalis გამრავლებისათვის [118].

პაროდონტული პათოგენებით ბალთის კოლონიზაციის პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია ფაკულტატურ მიკროფლორასთან ანტაგონისტური დამოკიდებულება. ნაჩვენებია, რომ მის შემადგენლობაში არის მთელი რიგი მიკროორგანიზმებისა, რომლებიც იკავებენ რა ეკოლოგიურ ნიშას, შეიძლება შეზღუდონ ან საერთოდ შეწყვიტონ პათოგენური ფლორის ზრდა [33]. ერთერთი ასეთი ,,დამცველი" მიკროფლორის წარმომადგენლებს შორის არის Capnocitophaga ochracea. ნაჩვენებია, რომ თუ P. gingivalis მაღალი მაჩვენებელი თანხვდება C. ochracea-ს მნიშვნელოვან რაოდენობას, დესტრუქციული დაზიანების განვითარების რისკი მკვეთრად ეცემა და პირიქით. შესაბამისად, პროცესის აქტივაციის ზონაში ამ ორ მიკროორგანიზმს შორის კორელაცია უკუპროპორციულია, და ინაქტიურ ზომაში – პირდაპირპროპორციული [33].

პათოგენური ფლორის ზრდის დაქვეითება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მექანიზმებით, მათ შორის ეკოლოგიური ნიშის პასიური ოკუპაცია, კონკურენცია

ადგეზიური დეტერმინანტებისათვის, იმ ფაქტორების გამოყოფა, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს პათოგენების ზრდას ან მათგან ვირულენტური აგენტების გამოყოფას. უკანასკნელი ურთიერთქმედების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ Streptococcus sanguis ეფექტი Actinobacillus actinomycetemcomitans – ის ზრდაზე. S. sanguis გამოყოფს მნიშვნელოვანი რაოდენობით წყალბადის ზეჟანგს, რომელიც ეფექტურად უმკლავდება პათოგენურ ორგანიზმს. (Hillman et al., 1989).

როგორც უკვე ითქვა, ბაქტერიული კოლონიზაციის მნიშვნელოვან ეტაპს განეკუთვნება მიკროორგანიზმების ადგეზია კბილისა და ღრძილის ზედაპირზე. შემდეგი ეტაპი ბაქტერიული აგრესიისა არის მიკროორგანიზმების ინვაზია ქსოვილების სიღრმეში [33]. ნავარაუდევია, რომ ბაქტერიული ინვაზიის ტიპი და მნიშვნელობა ვარირებს დაავადების კლინიკური ფორმის მიხედვით. განსაკუთრებით დიდია მისი მნიშვნელობა წყლულოვან-ნეკროზულ გინგივიტისა და პაროდონტიტის დროს. ამ შემთხვევებში სპიროხეტებისა და Fusobacterium nucleatum – ის მასიური ინვაზია თანდართულია ეპითელის მნიშვნელოვანი დაზიანებით და ულცერაციით, შემაერებელი ქსოვილის ინტერცელულარული მატრიქსის დესტრუქციით, აუტოფაგოციტოზით, იშემიით და ნეკროზული უბნების განვითარებით [100]. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება Actinobacillus actinomycetemcomitans ინვაზიას იუვენილური პაროდონტიტის პათოგენეზში.

ბაქტერიული ინვაზიის მნიშვნელობა ქრონიკული გინგივიტის და პაროდონტიტის დროს ნაკლებ ცხადია. უპირველეს ყოვლის ამ შემთხვევებში იგი ნაკლებ გამოხატულია და ძირითადად ახასიათებს ბაქტერიების მულტიპლიკაცია ეპითელურ შრეებში [118]. ზოგიერთი ავტორი [109] თვლის, რომ ბაქტერიები ქსოვილების სიღრმეში აღწევენ ქსოვილების მიკროტრავმისას პასიური დიფუზიის წყალობით, მაგალითად კბილების გახეხვის დროს. ადგეზირდება რა ბაზალური მემბრანის, კოლაგენური ბოჭკოების ზედაპირზე, ბაქტერიები იჭრებიან უფრო ღრმად ალვეოლურ ძვლამდე. ნავარაუდევია, რომ ბაქტერიულმა ინვაზიამ შეიძლება მოახდინოს ქრონიკულად მიმდინარე პაროდონტიტის გამწვავების პროვოცირება.

საპირისპიროს მიუთითებენ სხვა ავტორი [123] და აღნიშნავს, რომ ბალთის შემადგენლობაში შემავალი ბაქტერიები ვერ შეძლებენ ღრმა ინვაზიას, რადგანაც ისინი არ არიან მომზადებული, და ვერ უზრუნველყოფენ ადაპტაციას და გამძლეობას დამცავი ქსოვილოვანი სისტემის მხრიდან შეტევის პირობებში. კბილის

ბალთის მიკროფლორის პათოგენური ზემოქმედებისათვის გაცილებით მნიშვნელოვანია ბაქტერიული კომპონენტებისა და მათ მიერ სეკრეტირებული აქტიური აგენტების დისტანციური დესტრუქციული ზეგავლენა ქვემდებარე ქსოვილებზე. [72].

პაროდონტიტების ეტიოლოგიისა და პათოგენეზის შესახებ დომინირებს ორი ძირითადი მიმდინარეობა, თითოეულ მათგანში წამყვანი როლი განეკუთვნება ადგილობრივ და ზოგად ფაქტორებს. [48]. მაგრამ საჭიროა იმის მითითება, რომ მსგავსი დაყოფა ზოგად და ადგილობრივ ფაქტორებად ატარებს ხელოვნურ ხასიათს, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ფაქტორები შეიძლება ფიგურირებდნენ როგორც პათოლოგიური პროცესების ორგანიზატორები, ორგანიზმის საპასუხო რეაქცია მაინც ყოველთვის განპირობებულია ზოგადი ფაქტორებით. [27]. ზოგად ფაქტორებს მიეკუთვნება სისხლის მიმოქცევის დარღვევა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, ენდოკრინული დარღვევები, ნერვული დაავადებები. [110].

ავტორთა [94; 65] აზრით, ერთერთი ხშირი ფაქტორი პაროდონტიტების განვითარებისა არის ღრძილის მიკროტრავმა, რომლის მიზეზი ხშირად არის დანტისტის არადამაკმაყოფილებელი მუშაობაც კი. ღრძილში ჩაჭედილი კბილის გვირგვინის კიდეები, განსაკუთრებით როდესაც ისინი ცუდადაა გასადავებული, ხელს უწყობენ პაროდონტის დაზიანებას მთელი რიგი მექანიზმთა კომპლექსის დახმარებით, იქმნება რა იდეალური პირობები ნადების აკუმულაციისათვის და ღრძილის ღარის ნორმალური ეკოლოგიური ბალანსის დარღვევისათვის. ნაჩვენებია რომ ასეთ მიდამოებში აქტიურად ვითარდება პათოგენური მიკროფლორა, გამოდევნის რა ნორმალურ გრამ-პოზიტიურ ფაკულტატურ ორგანიზმებს [89]. არასწორად მორგებული გვირგვინების მოცილება იწვევს ანთებადი და ძვლოვანი ცვლილებების უკუგა-ნვითარებას [33].

მექნიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება კბილთა მწკრივის ანომალიები, ბრუქსიზმი და ა. შ. მეცნიერები კოპეიკინი1980, გლიკმანი1972 პაროდონტის ქსოვილების დამზიანებელ ფაქტორებს შორის დიდ ადგილს უთმობენ ტრავმას. ამ მოსაზრებას ეთანხმებიან სხვა მკვლევარები და პრაქტიკოსი ექიმებიც [40], მათი აზრით, პაროდონტის დაავადების ეტიოლოგიაში ოკლუზიურ ტრავმას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს. განსაკუთრებით ხშირად ტრავმული ოკლუზია

აღინიშნება კბილთა რკალის დეფექტების დროს. ირღვევა წონასწორობა ღეჭვითი დატვირთვისას, რის გამოც იქმნება ტრავმული სიტუაცია, ღრმავდება პათოლოგიური პროცესები პაროდონტში, რაც ხელს უწყობს პაროდონტული ჯიბეების წარმოქმნას. თუმცა ზოგიერთი ავტორი უარყოფს პირდაპირ კავშირს თანკბილვის პათოლოგიასა და პაროდონტის დაზიანებას შორის.

კბილების გადატვირთვა იწვევს კბილის ნადების გაძლიერებულ წარმოქმნას და ქსოვილებში ანთებად ცვლილებებს [34]. რიგ მეცნიერთა [43] გამოკვლევით, რომელთაც ჩაატარეს კვლევები 10-12 წლის ბავშვებში საღეჭი რეზინის რეგულარულ გამოყენებისას პაროდონტის ქსოვილების რეგიონული ჰემოდინამიკის მდგომარეობის შესახებ, დადგინდა, რომ საღეჭი რეზინის ზედმეტად ინტენსიური გამოყენება იწვევს რეგიონულ ვაზოკონსტრიქციას, რაც თავის მხრივ აუარესებს ქსოვილებამდე ჯანგბადის და ნივთიერებათა ცვლისათვის საჭირო სხვა პროდუქტების მიტანას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს პროცესები ხდება მიზეზი პაროდონტის ქსოვილებში დესტრუქციული პროცესების განვითარებისა. კბილების ექსტრაქცია ასევე იწვევს მეზობელი კბილების პაროდონტის დაზიანებას [65]. კბილების ნაწილობრივი დაკარგვა იწვევს კბილთა რკალის სხვადახვა ხარისხით გამოხატულ დეფორმაციებს, რომელთა შორის აღსანიშნავია დენტალური ფორმა (კბილი რომელიც ანტაგონისტის გარეშეა) და დენტოალვეოლური ფორმა (კბილი, რომელიც შემოსაზღვრავს კბილთა რკალის დეფექტს). [37]. ასევე დამტკიცებულია, რომ ღეჭვით დატვირთვაზე საპასუხოდ რეაგირებს სისხლძარღვოვანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ამ ქსოვილების ჟანგბადით და ნივთიერებათა ცვლისათვის საჭირო პროდუქტებით მომარაგებას. [37]. ფუნქციონალური გამოკვლევებით დასტურდება, რომ რეგიონული სისხლძარღვები ვაზოკონსტრიქციის მდგომარეობაში არიან და მისი ხარისხი უფრო მნიშვნელოვანია დენტალური ფორმის დროს, იმდენად, რამდენადაც ამ დროს მცირდება რეგიონული სისხლძარღვების სანათურები და ვითარდება პაროდონტის მეორე ხარისხის ჰიპოფუნქცია. [37]. რიგი ავტორების მიხედვით, პაროდონტის გადატვირთვას ყოველთვის ახლავს თან სისხლძარღვებში სისხლის ჰიდროსტატიკური წნევის, სისხლისა და ლიმფის მიმოქცევის შეცვლა, რის შედეგადაც ვითარდება ჰემო და ლიმფოსტაზები, პერივასკულარული შეშუპების გამო ირღვევა ჰისტოჰემატური ბარიერი, ვითარდება სისხლის ფორმიანი ელემენტების დიაპადეზი,

ერითროციტების აგრეგაცია, ემბოლია და ბოლოს სისხლძარღვის თრომბოზი. ვითარდება ჰიპოქსიის მოვლენები. [27].

საინტერესოა რუსი მეცნიერების კონცეფცია, რომელიც ამტკიცებს, რომ პაროდონტში პათოლოგიური ცვლილებების ინტენსიობა ძირითადად დამოკიდებულია პაროდონტის ქსოვილების სისხლძარღვების პათოლოგიური ცვლლილებებზე, რომელიც მნიშვნელოვნად არღვევს ამ ქსოვილის მეტაბოლიზმს. [31]. ამ მიმართულების ფუძემდებლად ითვლება ევდოკიმოვი 1940 რომელმაც პირველად მიაქცია ყურადღება პაროდონტის დაავადებასა და ინფექციურ-ტოქსიურ დაავადებას შორის კავშირს, რომელსაც თან ახლავს გამოხატული მიკროანგიოპათიები პაროდონტის ქსოვილში. ამ მეცნიერის [29; 30] და მისი მოწაფეების [39; 42; 55; 13] შემდგომ გამოკვლევებში მრავალჯერ იქნა დამტკიცებული პაროდონტიტების დროს სისხლძარღვების უპირატესი დაზიანება, განსაკუთრებით პაროდონტის მიკროცირკულაციისა.

ღრძილის ქსოვილების ცვლილება და კბილების აბრაზია, რაც ხელს უწყობს პაროდონტის დაავადებას, შეიძლება დაკავშირებული იყოს კბილების ზედმეტად აგრესიულ წმენდასთან, განსაკუთრებით ჯაგრისის გაძლიერებული ჰორიზონტალური და წრიული მოძრაობებით, კბილების წმენდისას ქრონიკული ტრავმა იწვევს ღრძილის რეცესიას და ფესვის გაშიშვლებას, ხშირად ღრძილის კიდე სქელდება, მკვრივდება და ზოგჯერ ეროზირდება [65].

ავტორთა [116] აზრით, პაროდონტის (განსაკუთრებით წინა კბილების არეში) დაზიანება ხშირია იმ პირებში რომელთაც ახასიათებს პირით სუნთქვა. მოისაზრება მინიმუმ ორი მექანიზმი, რომლებიც ხელს უწყობენ ქრონიკულად ღია პირით სუნთქვისას პაროდონტის დაზიანებას. პირველი, ეს არის ჰაერის გამომშრობი ეფექტი, რომელიც ახდენს ნერწყვის დამცავი თვისების რედუცირებას. მეორე, ის პირდაპირ უწყობს ხელს კბილის ნადების ზრდას, ირღვევა რა ბაქტერიული ფლორის ეკოლოგიური წონასწორობა.

პაროდონტის დაზიანების ადგილობრივ ფაქტორებს შორის მკვლევარების ყველაზე უფრო დიდ ყურადღებას იპყრობს მოწევა. მოწევის დროს ხდება ღრძილების ქსოვილებისა და კბილების პერმანენტული დამუშავება კვამლით, რომელიც შეიცავს უამრავ აქტიურ შენაერთს და ასევე მიკროსკოპულ ნაწილაკებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქსოვილების გაღიზიანებას [33]. დადგენილია მჭიდრო

კავშირი მოწევასა და წყლულოვან ნეკროზული პაროდონტიტის განვითარებას შორის, პირველად ასეთი კავშირის შესახებ აზრი გამოთქვა მეცნიერმა [62] 1859 წელს. მწეველებში წყლულოვან ნეკროზული დაზიანება სხვადასხვა გამოკვლევის მიხედვით შეინიშნება 8-14 _ ჯერ ხშირად, ვიდრე არამწეველებში [112]. ფიქრობენ, რომ მოწევა ხელს უწყობს პათოგენური მიკროფლორის კერძოდ სპიროხეტების ინვაზიას, ღრძილის ქსოვილების სიღრმეში და თრგუნავს ორგანიზმის დაცვით რეაქციებს, მიკროცირკულატორული დარღვევის ინიცირების და ფაგოციტოზის ინაქტივაციის ხარჯზე. მოწევის გავლენის მექანიზმი მრავალგვარია და ბოლომდე შესწავლილი არ არის. ძირითადი ეფექტი მოწევისა არის ბაქტერიული აგრესიის აქტივიზაცია [86]. მოწევა არა მხოლოდ ზრდის კბილის ნადების რაოდენობას, არამედ ახდენს მათი კოლონიზაციის ინტენსიფიცირებას პათოგენური მიკროორგანიზმებით. კერძოდ, მწეველების ნადები დიდი რაოდენობით შეიცავს გრამ-ნეგატიურ ფლორას [61]. აღსანიშნავია, რომ მოწევისას ბაქტერიული აგრესიის ზრდა განისაზღვრება არა მხოლოდ მათი გავლენით კბილის ბაქტერიულ ნადების განვითარებასა და გავრცელებაზე, არამედ ასევე ქსოვილების მგრძნობელობაზე მათი ვირულენტური ფაქტორების მიმართ. ამ მხრივ ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება მოწევის გავლენას პაროდონტის ქსოვილების მიკროცირკულაციაზე. სიგარეტის კვამლი, და უპირატესად ნიკოტინი ახდენენ ლოკალურ ანგიოსპასტიურ დარღვევებს [102]. ქრონიკული ზემოქმედებისას ეს ეფექტი ახდენს მიკროცირკულატორული მიმოქცევის მორფოლოგიურ ცვლილებებს და ქსოვილების იშემიას. შესაბამისად ირღვევა ქსოვილების ნორმალური დაცვითი რეაქცია, უარესდება მათში რეპარაციული პროცესები და იქმნება პირობები დეგენერაციული პროცესების განვითარებისათვის. [113]. იმუნურ პროცესებზე ზეგავლენის გამო მოწევა ასევე ზრდის პაროდონტის დაავადებების სიხშირეს. იგი ასევე მნიშვნელოვანი ხარისხით აქვეითებს ნერწყვის ბაქტერიციდულ თვისებებს [33]. ნაჩვენებია, რომ მოწევა თრგუნავს ფაგოციტოზს და იმუნოგლობულინების გამომუშავებას, უპირატესად IgA [93; 125].

დიაბეტის გავლენა პაროდონტის დაზიანებაზე, მიეკუთვნება ერთ-ერთ ინტენსიურად დამუშავებად თემას. რაც, არც არის გასაკვირი, იმდენად, რამდენადაც დიაბეტი ეხება პაროდონტის დაავადების ეტიოპათოგენეზის ყველა ძირითად ელემენტს, ბაქტერიული ინვაზიის, ორგანიზმის დაცვითი თვისებების, ქსოვილებში

რეპარაციული პროცესების, მასში სისხლისმიმოქცევის და მეტაბოლიზმის ჩათვლით. [33]. მკვლევართა [88; 103; 121; 78] დაკვირვებით ნაჩვენები იქნა, რომ დიაბეტით დაავადებულებში ადგილი აქვს პაროდონტის დაავადების სიხშირის ზრდას და დაზიანების მაღალ ინტენსიობას, თუმცა ეს მოვლენა არ არის დამოკიდებული ან მცირედაა დამოკიდებული საკვლევი პაციენტების სქესსა და ასაკზე. თუმცა მკვლევარები [70; 66] მთელი რიგი გამოკვლევებით აშშ-სა და ევროპაში ვერ იპოვეს არსებითი განსხვავება პაროდონტის დაავადების გავრცელებაში დიაბეტიან პაციენტებსა და დიაბეტით არ დაავადებულ პაციენტებს შორის, ან ეს განსხვავება არ იყო სარწმუნო. ზოგიერთ გამოკვლევაში მინიშნებულია, რომ დიაბეტით დაავადებულებში იზრდება არა სიხშირე, არამედ სიმძიმე პაროდონტის დაზიანებისა [122] და ასევე არსებობს ვარაუდი, რომ დიაბეტი პაროდონტის დაზიანებას ზრდის მხოლოდ ავადმყოფებში 35 წელზე ზემოთ. [70; 103].

პაროდონტიტების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ნერწყვს. (მისი შამადგენლობა და თვისებები, ქიმიური შემადგენლობა, კალციფიკაცია) [27]. ნერწყვის რაოდენობის შემცირებისას იზრდება ნადების ჩამიყალიბება კბილებზე, რაც ხელს უწყობს პაროდონტის ანთებადი დაავადებების ჩამოყალიბებას. [5]. კბილის მაგარი ნადების წარმოქმნა ხელს უწყობს პირის ღრუს სითხის ტუტე გარემოს მომატებას [16; 25]. კბილის ბალთის მიკროორგანიზმები ნერწყვის შარდოვანადან (მისი შეგუბების ადგილებზე) ხდება ამიაკის ფორმირება, რის შედეგადაც იმატებს ტუტე გარემო და კბილის ქვის კომპონენტები ილექება. [27].

დღესდღეობით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირის ღრუში ნახშირწყლების მეტაბოლურ გარდაქმნის შესწავლას, იმდენად რამდენადაც მისი შედეგია პირის ღრუს სითხის PH-ის მჟავე მხარეს გადანაცვლება, რაც იწვევს თანამედროვე შეხედულებით კარიესის განვითარება. [18]. მნიშვნელოვნად ნაკლები გამოკვლევები ეთმობა ნერწყვის ამინოშემცველი კომპონენტების მეტაბოლურ რეაქციებს (ამინომჟავები, ამინები, შარდოვანა და. ა. შ) ითვლება, რომ პირის ღრუს სითხეში ამინოშენაერთების ბიოქიმიური გარდაქმნის შესწავლა არსებითად დააზუსტებს პირის ღრუში მიმდინარე მეტაბოლურ პროცესების სურათს.

ამდაგვარი გამოკვლევების მიზანშეწონილობა განისაზღვრება შემდეგით. პირის ღრუს სითხის აზოტური მეტაბოლიტების ფიზიოლოგიური დონე შედარებით მაღალია [23] და ეს ნივთიერებები შეიძლება იყოს საკვები სუბსტრატი

მიკროორგანიზმებისათვის, რომლების პირის ღრუში არსებობენ როგორც ნორმაში, ისე პათოლოგიური პროცესების დროს. ამინო შენარეთის გარდაქმნისას პირის ღრუში იქმნება რიგი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისა, მაგალითად პუტრესინი [45], ჰისტამინი და სხვა ბიოგენური ამინები, რომლებიც შეიწოვება რა ლორწოვანი გარსით, მოხვდება საერთო სისხლის მიმოქცევაში. ამინოჟავების და შარდოვანას გარდაქმნის შედეგად წარმოიქმნება ძირითადი პროდუქტები _ ამიაკი, მონო _ და დიამინები, რომლებიც მნიშვნელოვან წილად ანეიტრალებენ ნახშირწყლების დაშლის მჟავე პროდუქტებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ პირის ღრუში ადგილი აქვს ორ ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართულ პროცესს: ნახშირწყლების ფერმენტაციის შედეგად მჟავე ექვივალენტების დაგროვებას და ამინომჟავების და ამიდების უტილიზაციის შედეგად ტუტე ექვივალენტების დაგროვებას. ნერწყვის PH-ის სიდიდე არის ამ ორი პროცესის შედეგი.

ცხადია, რომ მეტნაკლებად ტევადი ტუტეწარმომქმნელი რეაქცია არის ნერწყვის შარდოვენას (კარბამიდის) ჰიდროლიზი მიკრობული ურეაზის ზეგავლენით, იმდენად, რამდენადაც ნერწყვში შარდოვანას დონე ისედაც საკმაოდ მაღალია, და ბევრი სახეობა პირის ღრუს მიკოორგანიზმებისა ურეაზოპოზიტიურია [52]. ტუტე პროდუქტების დამატებით წყაროებად შეიძლება მოგვევლინოს ისეთი ამინომჟავები, როგორებიცაა: ჰისტიდინი, ლიზინი, არგინინი, ორნიტინი. მიკრობებში ფართოდ გავრცელებული ამ ამინომჟავების დეკარბოქსილირების შედეგად იქმნება საკმაო ძირითადი ჰისტამინი, კადავერინი, პუტრესცინი.

განსაკუთრებულ როლს პაროდონტის დაავადების პათოგენეტური მექნიზმებში თამაშობს იმუნური რგოლი, რაც უზრუნველყოფს პაროდონტში ანთებადი პროცესის თვითშენარჩუნებას და თვითგანვითარებას. [114].

უკანასკნელ წლებში გაჩნდა ნაშრომები, რომელთა ავტორები მიუთითებენ დაავადების პათოგენეზში იმუნოპათოლოგიური მექანიზმების, მათ შორის აუტოიმუნური მექანიზმების მონაწილეობის შესახებ. [6; 24; 50; 58; 77; 120]. აუტოიმუნური პროცესის სენსიბილიზაციის განვითარების ფაქტორებს შორის არსებით როლს თამაშობს ორგანიზმის საკუთარი ანტიგენები, რომლებიც ქსოვილების დესტრუქციასთან ერთად, მიკროორგანიზმებით გამოწვეული ანთებით, მკურნალობით იძენს აუტოანტიგენურ თვისებებს და შეუძლიათ გამოიწვიონ

იმუნოპათოლოგიური პროცესის განვითარება, რომელიც მიმართულია, როგორც პათოლოგიურ ცვლილებებისაკენ ასევე ნორმალურ ქსოვილებზე. [51].

რიგი ავტორებისა [35; 53]. მიუთითებენ რომ ამ დაავადების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პაროდონტის ქსოვილებში ენერგეტიკული ცვლის დარღვევა. ენერგეტიკული მეტაბოლიზმის პროცესების დაბალი აქტიობა გამოიხატება პაროდონტის ქსოვილების ჰიპოქსიაში, რაზეც მიუთითებს ქსოვილოვანი სუნთქვის დაქვეითება, ჟანგბადის ძაბვის ხარისხის დაქვეითება, გლიკოლიზური გზის ენზიმების აქტიობის მომატება, რომელიც ერთდროულად შეინიშნება ტრანსკაპილარული ცვლის დარღვევის პირველ ნიშნებთან ერთად. [46].

პაროდონტის მდგომარეობაზე სტრესის გავლენის შესახებ ნაკლებადაა შესწავლილი, რაც დაკავშირებულია ამ სახის კვლევების მეთოდოლოგიურ სიძნელეებთან. უკანასკნელ წლებში გაჩნდა არამრავალრიცხოვანი პუბლიკაციები, სადაც მიუთითებან, რომ პერმანენტული სტრესული სიტუაციები, რომლებიც ძირითადად კავშირშია სამუშაო ადგილის პირობებთან, მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს პაროდონტის დაავადების განვითარებას. [95; 74]. ვარაუდობენ, რომ სტრესი ხელს უწყობს პაროდონტის დაავადების განვითარებას ჰომეოსტაზის რთული დაზიანების გზით, ორგანიზმის იმუნური ჰომეოსტაზის ჩათვლით. ავტორები [60; 73] მიუთითებდნენ, რომ სწორედ სტრესი გვევლინება პროვოკატორად პაროდონტის დაავადების გაღრმავებისათვის სხვადასხვა პირობებში, მათ შორის სომატური დაავადების დროსაც.

სამოციან წლებში არსებითად არ ითვლებოდა სპეციფიური მიკროორგანიზმების ეტიოლოგიური როლი პაროდონტის დაავადების განვითარებაში. რის ერთ-ერთ მიზეზად ითვლებოდა ცალკეული მიკროორგანიზმის შემადგენლობისა და პათოფიზიოლოგიური მნიშვნელობის შეფასებისათვის საჭირო მრავალრიცხოვანი მეთოდოლოგიური სირთულეები. [33]. პირის ღრუს მიკროფლორა შეიცავს სამას ტიპზე მეტ ბაქტერიას და მათი უმრავლესობა არ არის პათოგენური. პაროდონტული დაზიანების უბნების ნადებიდან მიკროორგანიზმების კულტივირების მცდელობები იძლეოდა ვარიაბელურ შედეგებს. შესაბამისად ითვლებოდა რომ ბალთების შემადგენლობაში ბაქტერიული ფლორის ჭარბმა ზრდამ შეიძლება ხელი შეუწყოს პაროდონტის დაზიანებას მაგრამ საეჭვოა, რომ გახდეს მისი კაუზალური მიზეზი. მაგრამ კვლევებმა, რომლებიც ჩატარდა ბოლო ათწლეულებში,

ბევრად შეცვალეს ეს აზრი. ერთის მხრივ მრავალრიცხოვანმა ეპიდემიოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა მკაცრი დამოკიდებულება ბაქტერიისშემცველ კბილის ბალთასა და პაროდონტის დაავადების ძირითადი ფორმების განვითარებას შორის. მეორეს მხრივ, რაც მთავარია ახალი, თანამედროვე კვლევის მეთოდების დანერგვით, გამოვლინდა 30-მდე ტიპის მიკროორგანიზმის წამყვანი როლი პაროდონტის დაავადების განვითარებაში, მკურნალობასა და პროფილაქტიკაში. გამოკვეთეს რა ,,პაროდონტული მიკრობიოლოგიის'' ახალი ერა, მეცნიერებმა [81] წარმოადგინეს პაროდონტის დესტრუქციული დაზიანების ახალი ,,ფორმულა'':

პაროდონტის დაზიანება=ბაქტერიული პათოგენი+მგრძნობიარე ორგანიზმი+ნორმალური მიკროფლორის დეფექტები.

რასაკვირველია, ბევრი პრობლემა ამ სფეროში რჩება გადაუწყვეტელი და საკითხი სპეციფიური ბაქტერიული ფაქტორების ეტიოლოგიური ბუნების შესახებ უფრო დაზუსტდება და განიხილება ახალი კვლევების შედეგების დაგროვების მიხედვით.

თავი II. კვლევის მასალა და მეთოდები

წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებულია საქართველოს შრომის, ჯამრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის კათედრაზე 2003-2005 წლებში. მიკრობიოლოგიური გამოკვლევები ტარდებოდა: სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის კათედრასთან არსებულ სამეცნიერო-ანალიტიკურ ცენტრში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიის ინსტიტუტში და შვეიცარია-საქართველოს ერთობლივ დიაგნოსტიკურ ცენტრ ,,Cito"-ში.

გამოკვლეული იქნა 737 ავადმყოფის პაროდონტული ჯიბიდან აღებული ექსუდატი ან კიურეტაჟის შედეგად მიღებული მასალა. ბაქტერიოლოგიური კვლევისათვის საჭირო მასალა აღებული იყო სტერილურ პირობებში, არხის ნემსზე მოთავსებული სტერილური ბამბის ტურუნდების, მიკრობიოლოგიური მარყუჟისა და სტერილური ტამპონების საშუალებით. საკვლევი მასალის მორფოლოგიური და

ბაქტერიოსკოპული შესწავლისათვის გამოიყენებოდა გრამის წესით შეღებილი ნაცხები.

აერობული მიკროორგანიზმების გამოყოფა და იდენტიფიკაცია წარმოებდა რეკომენდირებული მეთოდებით [32; 7; 54]. მუშაობის დროს გამოიყენებოდა ხოტინგერის ბულიონზე დამზადებული მყარი და თხიერი საკვები ნიადაგები. მიღებული მასალის დათესვა წარმოებდა რძე-მარილიან აგარზე და 1%-იან გლუკოზის ბულიონში. 37^{0}C-ზე, 24 საათიანი ინკუბირების შემდეგ წარმოებდა გადათესვა მყარ საკვებ ნიადაგებზე: 5% სისხლიანი აგარი, რძიან-კვერცხისგულიან მარილიანი აგარი და ენდოს ნიადაგი.

სტაფილოკოკების სახეობის განსაზღვრისათვის გამოიყენებოდა ტესტების კომპლექსი: პლაზმოკოაგულაციური, ლეციტინაზური და ჰემოლიზური აქტივობა, ანაერობულ პირობებში მანიტის ფერმენტირების უნარი, პიგმენტის არსებობა. პლაზმოკოაგულაციის რეაქციის დადგმა ხდებოდა ადამიანის 4-ჯერ განზავებულ ციტრატულ პლაზმაზე. შედეგები იკითხებოდა 2-4-6 და 18 საათში. ჰემოლიზური აქტივობა განისაზღვრებოდა 5% სისხლიან აგარზე, პიგმენტის წარმოქმნა – მარილიან აგარზე, ლეციტინაზური აქტივობა – კვერცხის გულიან აგარზე, მანიტის ანაერობული ფერმენტაციის შემოწმება – ჰისის ნიადაგზე. ამ შემთხვევაში ნემსით ჩათესვის შემდეგ აგარის ზედაპირზე ვასხამდით ვაზელინის ზეთს. მანიტის ფერმენტაციას ვარეგისტრირებდით ნიადაგის ფერის შეცვლის მიხედვით.

სტრეპტოკოკების იდენტიფიკაცია წარმოებდა შემდეგი ტესტებით: ჰემოლიზი, ზრდა 45^{0}C, რძე მეთილენის ლურჯით, ზრდა 6,5% NaCl პირობებში, ზრდა pH 9,6 დროს, ჟელატინის დაშლის უნარი, ზრდა 10% ნაღველიან ბულიონში, ზრდა 40% სისხლ-ნაღველიან აგარზე, მგრძნობელობა (1: 400) ოპტოხინის მიმართ.

ნეისერიების იდენტიფიკაცია ხდებოდა შემდეგი ტესტებით: რეაქცია კატალაზაზე და ოქსიდაზაზე, პიგმენტის წარმოქმნა, ნახშირწყლების, კერძოდ, გლუკოზის, ფრუქტოზის, მალტოზის, საქაროზის და ლაქტოზის უტილიზაცია.

ნაწლავური ჯგუფის ბაქტერიების სახის დადგენა წარმოებდა შემდეგი თვისებების საფუძველზე: ზრდა ნაღველ-ტუტოვან აგარზე, რეზისტენტობა კალიუმის ტელურიტის მიმართ, ჰემოლიზი, პროტეოლიზი, ნახშირწყლების ფერმენტაცია და მოძრაობის უნარი ნახევრად თხევად აგარზე.

პათოგენური სოკოების გამოყოფისათვის საკვლევი მასალა ითესებოდა საბუროს ნიადაგზე. 25^{0}C-ზე 24-72სთ. ხანგძლივობით ინკუბირების შემდეგ მათი სახის დადგენა წარმოებდა ბაქტერიოსკოპიულად და ნახშირწყლების უტილიზაციის საფუძველზე.

ანაერობული ბაქტერიების იდენტიფიკაცია და ბიოქიმიური თვისებების შესწავლა წარმოებდა მაღალი სიზუსტის Api 20 A სისტემით (bioMerieux – საფრანგეთი), ხოლო მგრძნობელობა-რეზისტენტობას ვსაზღვრავდით ATB ANA სისტემით [2]. შედლერის აგარზე ნათესების ინკუბირება ხდებოდა Genbaganaer ცელოფნის პაკეტებში, 37^{0}C-ზე 24-48 საათის განმავლობაში.ფანაერობების იდენტიფიკაციისათვის გამოიყენებოდა Api 20 A სისტემები, რომელიც საშუალებას იძლევა სწრაფად და ადვილად ჩატარდეს 21 მეტაბოლური ტესტი. დამატებით განისაზღვრებოდა კოლონიების მიკროსკოპული მორფოლოგია, წარმოებდა ნაცხების გრამით წესით შეღებვა.

